F784 ლ 7189
N 196
F 1

ყოველ კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 7. 1920 წ. კვირა, აპრილის 18, წელიწადი პირველი № 7.

ფასი 3 მან.

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-
სალიტერატურო გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ფუტკრობა-მეაბრეშუმეობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„**სასოფლო გაზეთში**“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ცალი 3 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე, მისამართი [illegible] № 5. [illegible]

ამიერ კავკასიის სახელმწიფოების თათბირისათვის

ამიერ კავკასიის სამივე სახელმწიფოს—საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს—მრავალი საერთო გადასაწყვეტი საქმე აქვთ, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა მათ შორის მოლაპარაკება, განსჯა და შეთანხმება. უნდა ითქვას სიმართლე, ამ სამივე სახელმწიფოს შორის იმ თავითვე ვერ დამყარდა მეგობრული განწყობილება, ან ისეთი მაინც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მორიგება ისეთს დიდ საკითხებში, რომლებზედაც სავსებით დამოკიდებულია თვით თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა ამ სახელმწიფოებისა.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ იმ დღიდან, როდესაც საქართველომ და მეზობელ სახელმწიფოებმაც დიდის ბრძოლისა და ვაივაგლახის შემდეგ მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მათ წინაშე გამუდმებით იდგა გარეშე საფრთხე! ამიერკავკასიის სახელმწიფოებს წელგას უქადდნენ უმთავრესად ორის მხრით: ჩრდილოეთით რუსეთი, ხოლო სამხრეთით ძველი დაუძინებელი მტერი საქართველოისა ოსმალეთი.

აუარებელი მსხვერპლი და ზარალი მოგვაყენეს ორივემ! მათთან ბრძოლაში იწურებოდა ჩვენი ხალხის ძალა და ღონე და იკარგებოდა მრავალი სიმდიდრე.

საქართველო მხოლოდ ერთს მოითხოვდა თავის მეზობლებისაგან—სომხეთსა და აზერბაიჯანისაგან: დროებით მაინც ხელი აეღოთ ერთმანეთის დარბევისა და აწიოკებისაგან, რომ მტერს სისხლ დაცლილნი არ შეხვედროდნენ და ამ რიგად მისთვის არ გაეადვილებინათ სამივე სახელმწიფოს კვლავინდებურად დამონავება.

აი, ამიტომ საქართველოს ხალხი ბოლომდის არ ედავებოდა თავის მეზობლებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მიწა წყალს დღესაც უკანონოდ დაპატრონებიან ისინი! ჩვენი სამშობლოს ყველაზე მდიდარი და მშვენიერი კუთხე—საინგილო, ზაქათალის ოლქი—მთელი ამ ხნის განმავლობაში აზერბაიჯანის ხელშია და იქიდან ეს სახელმწიფო ეზიდება ისეთ სიმდიდრესა და სიუხვეს, რომელიც საგრძნობლად შეამცირებდა ჩვენს გასაჭირსა და ნაკლებულობას, თუ ეს მხარე ჩვენს ხელთ ყოფილიყო! მაგრამ, ვიმეორებ, საქართველო მშვიდობიანობის გზას ადგა იმიტომ კი არა, რომ ძალა არ შესწევს დაიბრუნოს ყველა თავისი მიწა-წყალი, არამედ იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ჰფიქრობს საერთო—ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკათა—მტრების განდევნაზე.

მაგრამ საქართველოს რჩევას ყური არ ათხოვეს მეზობელმა აზერბაიჯანმა და სომხეთმა: თითო მტკაველი მიწის გულისთვის ისინი ხმალს იძრობდნენ ქარქაშიდან და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ სახელმწიფოებს შორის შეუწყვეტელი ომი სწარმოებს: სწყდება უბრალო მშრომელი ხალხი, ილუპება და ოხრდება მოგროვებული სიმდიდრე, ვერანდება ქვეყანა... ასეთი მდგომარეობა უზომოდ ახარებს პირველ ყოვლისა იმათ, ვინც ამიერკავკასიის სახელმწიფოებს მოსდგომიან და მხოლოდ მარჯვე დროს ელიან საზღვრების გადმოსათელად.

წინადაც არა ერთხელ მიუმართავს საქართველოს აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის შეეჩერებინათ ერთიერთმანეთის დაუზოგველი შემუსვრა. ჩვენი მთავრობის წინადადებით გასულ წლებში იკრიბებოდნენ სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლები სათათბიროდ, მაგრამ, საუბედუროდ, ვერც ერთმა თათბირმა ვერ დახურა მოძმე ხალხის წყლული და როგორც უწინ, ეხლაც ორი მეზობელი იქანცება უაზრო სისხლის დვრაში.

რა არის ასეთი უბედურობის მიზეზი?

ნუ თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის მეთაურებმა მართლა გონება დაჰკარგეს და არც ესმით თავის სახელმწიფოს და ხალხის სიკეთე?

თავი და თავი მიზეზი იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება მთელი ამიერკავკასია, ის არის, რომ [illegible] ჯერაც ვერ შეთანხმებულან იმ ყველაზე დიდ საკითხში, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია სხვა დანარჩენი საკითხები—სულ ერთია, რასაც უნდა ეხებოდნენ ისინი: შინაურ საქმეებს, თუ საგარეო პოლიტიკას, ეს იგი, ჩვენს დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან.

ამ ჟამად თბილისში მოწვეულია საქართველოს მთავრობის თაოსნობით ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია, ანუ თათბირი, ამ კრებულმა უნდა მოისაზროს ყველა ის ღონისძიება, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება ამიერკავკასიაში წესიერების დამყარება და, მაშასადამე, მოზღვავებულ მტრის მოგერებაც.

ქართველი ხალხის სურვილი ერთში გამოიხატება: დროა დასრულდეს ერთმანეთის გაუტანლობა და მტრობა და ისეთნაირად მოეწყოს ჩვენი საერთო ცხოვრება, რომ კარზე მომდგარი მტერი თავზარდაცემული უკუვიდოდეს.

ამას კი შევძლებთ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ დროზე გადავჭრით სადავო საკითხებს და თავდაპირველად ჩვენი სახელმწიფოების საზღვრების გამიჯვნას: ყველა სახელმწიფო უნდა ეპატრონებოდეს მხოლოდ იმ მიწა-წყალს, რაც მას კანონიერად ეკუთვნის და რაც გასულ ხანებში სიმხნევით დაუცავთ წინაპრებს. სანამ ამ უბრალო საგანს მეზობელი სახელმწიფოები არ შეიგნებენ და არ შესწყვეტენ მტაცებლობას, მთელი ეს მხარე ასეთ ჯოჯოხეთურ ყოფაში იქნება და მაშინ არც მტერს გაუჭირდება ჩვენი დაპყრობა.

ხალხი მოიქანცა. დრო აღარ დადგა, რომ მას მივცეთ შეძლება მშვიდობიანად იცხოვროს და მისი ოფლისა და მარჯვენის მონაგარი ათასი მოუსვენარის ომებით ნიავს არ მივცემდეს?!

აწიოკებული ხალხი არც თავისთვის ვარგა და არც, მით უფრო, სახელმწიფოსათვის.

ბათუმი

საქართველოს უმშვენიერესი კუთხე—ბათუმის ოლქი თავის მდიდარი ბუნებით მუდამ დიდ ყურადღებას იქცევდა ჩვენი მტრებისას.

წარსულში ოსმალეთი მოსვენებას არ გვაძლევდა, უსწორო ბრძოლაში მან კიდეც გამოგლიჯა საქართველოს ეს კუთხე და ჩვენ ღვიძლ ძმებს—აჭარლებს რჯული გამოაცვლევინა, მაჰმადიანებად გადააქცია, მთელი მხარე გაანადგურა და მცხოვრებთა უმრავლესობა კი სათათრეთში გადასახლა.

მაგრამ დროთა ვითარებამ მდგომარეობა შესცვალა და ბათუმის ოლქიც და მთელი კავკასიაც ხელში რუსეთს ჩაუვარდა.

დიდმა ომიანობამ მთელი ქვეყნიერობა შეარყია, მდგომარეობა ხელახლა ძირიანად შესცვალა და ამ ორი წლის წინად ბათუმი და მისი ოლქი ისევ თავის სამშობლოს—საქართველოს დაუბრუნდა.

ჩვენ იმ დროს რუსეთის მონობიდან ხელად განთავისუფლებულნი, ჯერ ისევ მოუწყობელნი ვიყავით. ჩვენ მაშინ ჯარიც ძალიან მცირე გვყავდა და ისიც გახრწნილი, მას არ ჰქონდა სიმტკიცე და არც უფრო საჭირო—სამშობლოს დაცვის შეგნება.

ვერაგი ოსმალეთი მუდამ ძალმომრეობას ეყრდნობოდა და აი იმ დროს ისარგებლა მან ჩვენი უძლურებით, კვლავ მისმა ბარბაროსულმა ძალმომრეობამ გამოგლიჯა საქართველოს ეს კუთხე, ჩვენი დაქსაქსული ჯარები ბათუმიდან გამოსდევნა და ბათუმიც ხელახლა დაიპყრო. ამ გარემოების გამო მთელი საქართველო გლოვამ მოიცვა.

მაგრამ საქართველო ამ კუთხის დაკარგვას ვერა დროს ვერ შეურიგდებოდა, როგორც ღვიძლ თავის შვილს, ნებით არავის დაანებებდა, საქართველო იმ დღიდანვე ელოდა დროს, რომ ბათუმი ისევ დაუბრუნდებოდა. ამასთანავე ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით, რომ სამართალი და სინიდისი გაიმარჯვებს და უმაღლესი საბჭო, ინგლის—საფრანგეთ—იტალიის სახელმწიფოთაგან შემდგარი, რომელმაც ბათუმი და მისი ოლქი ოსმალებს ისევ წაართვა ბათუმს ჩვენ დაგვიბრუნებდა.

კვირიდან კვირამდე

იტალიური გაზეთის ცნობით უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს გადაეცეს.

მოხალისეთა ღენერალი დენიკინი სტამბოლში გაიქცა.

ვილსონის აზრით ოსმალეთი სტამბოლიდან უნდა გინიდევნოს

12 აპრილს საღამოს რვა ნახევარ საათზე ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა იყო.

ყაზახის მაზრაში გაიგზავნა კონფერენციის წევრები სომეხთა და თათართა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტად.

შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღები: ლევან ქავთაროვი და აბრამ აბაშვილი.

იმედი ერთხანად არ გამართლდა ამ ერთი თვის წინად მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი მცირე ზონით უნდა გადააქციონ ცალკე სახელმწიფოთ ინგლის—საფრანგეთ — იტალიის მფარველობის ქვეშ.

ამ ამბავმა მთელი საქართველო აღელვა და ფეხზე დააყენა. თვისი გულის წყრომა მან მაშინვე აუწყა უმაღლესს საბჭოს და განუცხადა, რომ ბათუმის ოლქის დაკარგვას არავითარ შემთხვევაში არ მოითმენს და არავითარ მსხვერპლსაც არ დაზოგავს მის დასაბრუნებლად.

ამის შემდეგ პასუხი არ იყო.

და აი, სწორედ ბათუმის ორი წლის დაკარგვის თავზე გაზეთებმა გვამცნეს, რომ უმაღლესმა საბჭომ წინანდელი დადგენილება გააუქმა და გადასწყვიტა ბათუმი და ბათუმის ოლქი კვლავ საქართველოს გადაეცეს.

ეს ცნობა მთელ საქართველოს ელვასავით მოედო.

ჩვენი ღვიძლი ძმები—აჭარლები და ბათუმი ისევ საქართველოს კერას უბრუნდება: თუმცა ამის შესახებ ოფიცია-[illegible] სასიხარულო ამბავს მხოლოდ გაზეთები გვაუწყებენ, ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ეს აცხადდება და ამით ბოლო მოეღება იმ უსამართლობას, რომელიც ჩვენს ახლად აღორძინებულ სახელმწიფოს სასიკვდილოდ ემუქრებოდა.

დღეს ჩვენმა ცხოვრებამ ახალი სახე უნდა მიიღოს. ბათუმის დაბრუნება ცხოვრების მრავალ სახსარსა და უნარს მოგვცემს. ჩვენს წინ დიდი იმედები იშლება: დასავლეთის კარი იხსნება, სიცოცხლის მომცემი ნიავი ევროპიდან თავისუფლად შემოიჭრება და ჩვენს მიმქნარს ცხოვრებას სიცოცხლით აღავსებს, გამოაბრუნებს და საქართველო ამდენი ტანჯვის შემდეგ საბოლოოდ გაიმართება წელში.

ბათუმის საკითხი

იტალიანურ გაზ. „კორრიერა დელლა სერა“-ს 27 მარტის ნომერში მოთავსებულია ლონდონიდან ტელეგრაფით გადაცემული შემდეგი ცნობა:

„ბათუმი საქართველოსთვის„. მინისტრთა საბჭომ გამოიცვალა თავისი წინანდელი შეხედულება ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ. ომამდე ბათუმი შეადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს. მისი ბედის გადაწყვეტა მეტათ ძნელ ამოცანას შეადგენდა, რადგანაც იგი ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილად გადიქცა. პირველად განზრახული იყო იგი საქართველოსთვის დაეტოვებინათ; მაგრამ შემდეგში გაიმარჯვა იმ შეხედულებამ, რომ იგი გადაექციათ თავისუფალ საერთაშორისო ქალაქათ მის ირგვლივ ნეიტრალურ ზონის შექმნით, რომ ამრიგათ იგი ყოფილიყო ნავთსადგურათ საქართველოსთვის ადერბაიჯანისთვის და სომხეთისთვის და ყოფილიყო გარანტია თავისუფლათ ევაჭრათ ნავთით, რომელიც ბათუმიდან ზღვით აღმოსავლეთ ევროპაში გააქვთ. მაგრამ ეხლა, როგორც სჩანს, საბჭო დაუბრუნდა იმ პროექტს, რომლის ძალითაც ბათუმი საქართველოს მიეკუთვნება და დაცული იქნება გარანტია თავისუფალი ვაჭრობისა იმ ერებისათვის, რომელთაც არა აქვთ გასავალი ზღვაზე.

როგორც საზოგადოთ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა შესახებაც საგარეო საქმეების მინისტრთა საბჭოს არა აქვს მტკიცე და ერთსულოვანი შეხედულება, ალბათ, ამ კითხვის საბოლოო გადაწყვეტაც მოხდება კონფერენციაზე სანრემოში, სადაც შოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეიკრიფებიან 10 ან 12 აპრილს და შეჰკრავენ ზავს ოსმალეთთან

ამირანი მიჯაჭული

მთიელთა რესპუბლიკა და საბჭოთა რუსეთი.

მთიელთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წარმომადგენელმა ჰაიდარ ბამმატმა ჩიჩერინს შემდეგი ნოტით მიჰმართა: „მაშინ როდესაც მოხალისეთა ლაშქრობა კურსკსა და ორლოვს უახლოვდებოდა, მხოლოდ დაღესტანისა და ჩეჩნეთის მშრომელი ხალხი შავი ღენერლის ჯარის წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა,— ჩიჩერინმა შემდეგი მოწოდებით მიმართა დაღესტნის გლეხობას: „ჩვენ მთელი ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ, რომ სოციალისტურ და ფედერატიულ საბჭოთა რუსეთს არასოდეს არ ჰქონია მიზნად სხვის ტერიტორიაზე თავის ძალაუფლება იარაღით გაევრცელებინა. კერძოთ დაღესტნელების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ მოვდივართ თქვენს წინააღმდეგ, ჩვენი მპართველობის დასამყარებლად. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ერთა თვითგამორკვევის აუცილებელ საჭიროებას. და თქვენ კავკასიის მუსულმანებო, თუ კმაყოფილი ხართ თქვენში არსებული წესწყობილებით, იცხოვრეთ მშვიდობით და აღადგინეთ ჩვენთან კეთილ-მეზობლური განწყობილება.“

აღმოსავლეთის საქმეების განყოფილების გამგე ნარიმანოვიც მთიელთა რესპუბლიკას სწერდა: „უნდა იცოდეთ, რომ საბჭოთა მთავრობა ძალას არ ატანს ხალხს, თუ მათ არ სურთ ბოლშევიკური წესწყობილება. საბჭოთა მთავრობა სავსებით აღიარებს დაღესტნის დამოუკიდებლობას.“

ასეთი იყო ბოლშევიკების დაპირება და მთიელთა რესპუბლიკას გლეხობასაც ეს გარემოება ამხნევებდა. და აი დღეს, როდესაც მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორია რეაქციონურ ძალებისაგან გაწმენდილია, საბჭოთა რუსეთის მთავრობას განუზრახავს თავის ძალაუფლების დამყარება წინააღმდეგ გუშინდელი დაპირებისა. ჩვენ არ ვიცით ბოლშევიკების ასეთი ორპირობა რით აიხსნება. საბჭოთა ჯარმა უკვე დაიკავა მთიელთა მიერ მოხალისეებისაგან განთავისუფლებული ქალაქები; გროზნა და კავკავი მთიელების დამოუკიდებლობას, რისთვისაც ისინი მთელი 8 თვე ებრძოდნენ დენიკინს,—დღეს მოულოდნელი საფრთხე ელის ბოლშევიკებისაგან. ვაღიარებთ რა ასეთ მდგომარეობას საბჭოთა მთავრობის წინანდელ დაპირების გაბათილებით, ჩვენ მოვითხოვთ ცნობილ იქმნას მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ამით აღიკვეთოს ყოველგვარი უსამართლობა.“

გენერალ რომანოვსკის მოკვლა.

სტამბოლის რადიოს ცნობით გენერალ დენიკინის სამხედრო შტაბის უფროსად ნამყოფი გენერალი რომანოვსკი, რომელიც დენიკინთან ერთად სტამბოლს გაიქცა, რევოლვერით მოუკლავთ სტამბოლში არსებულ რუსეთის საკონსულოს შენობიდან გამოსვლის დროს.

ყრილობა დაღესტანში.

25 აპრილს ქ. თემინხაშურში დანიშნულია დ ღესტნის ყრილობა. იმ ქალაქებში, რომელიც მთიელთა რესპუბლიკის ჯარებმა მოხალისეებს წაართვეს, წესიერება აღდგენილია.

—

მოხალისეთა ჯარის ახალი მთავარსარდალი.

მოხალისეთა ღენერლების თათბირზე ჯარის სარდლად დენიკინის მაგიერ ღენ ვრანგელი აირჩიეს.

—

მიწის ძვრა.

ცამეტ აპრილს; საღამოს რვა-ნახევარ საათზე ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა. ხალხი ძალიან შეშინდა. შენობები არ დანგრეულა.

—

რუსეთი და იაპონია.

რუსეთსა და იაპონიის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. აღმოსავლეთ ციმბირში შეტაკებები ხდება.

მდგომარეობა კავკავში.

ვნების კვირაში, ხუთშაბათს კავკავში ჩასულან „ჩრეზვიჩაიკები“. მათ დაპატიმრება დაუწყიათ. ადგენენ პროექტს ბურჟუაზიის ქალაქიდან გადასახლებისთვის, ხშირად ახდენენ რეკვიზიციას ავეჯეულობის და სხვა ოჯახის საჭიროების საგნებისას. სიძვირე საზღაპროა. რესტორანში კაცმა რომ ისადილოს—უჯდება არა ნაკლებ 300 მანეთისა. გაცემულია ბრძანება რომ მოხალისეთა ფული მიიღონ. საბჭოთა რუსეთის ფულიც არის გასავალში. ექსცესების დროს კისლოვოდსკში დაიღუპნენ ცნობილი სახლის პატრონები: ნ. პოპოვი, შჩერბინა და ექ. პეტრიკი.

კავკავი.

კავკავიდან მიღებულ ცნობით ჩრდილო კავკასიაში თითქმის ყველა საქმეებში ხელმძღვანელობს სერგო ორჯონიკიძე, რომელიც დგას ჩრდილო-კავკასიის რევოლიუციონურ საბჭოს სათავეში, მასთან ერთად მუშაობს ბუდუ მდივანი.

მთიელთა კომუნისტურ პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია გამიდ გოიგოვი.

საჩეჩნეთში ბოლშევიკებმა გაგზავნეს ჯარის ნაწილები, რათა დაიბრუნონ ის ოქრო და ვერცხლი, რომელიც შარშან თებერვალში ბოლშევიკებს უკან დახევის დროს ჩეჩნებმა წაართვეს.

ვილსონი და ოსმალეთის საკითხი.

პრეზიდენტი ვილსონი იმ აზრს ადგას, რომ ოსმალები უნდა განიდევნონ

უ ც ხ ო ე თ ი.

რიზე სომხეთისთვის.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან უმაღლესმა საბჭომ ქ. რიზე გადასცა სომხეთის რესპუბლიკას ზღვაზე გასავალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინეპოლიდან, მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტას უნდა მოუცადონ იმ დროს, ვიდრე რუსეთს შეძლება მიეცემა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს. სომხეთმა, ვილსონის აზრით უნდა მიიღოს რაც შეიძლება მეტი ტერიტორიალური მფლობელობა და ზღვაზედ გასასვლელი ადგილი, ვილსონს სწამს ბოლშევიზმის განადგურება. ის ფიქრობს, რომ მომავალ ზაქთარში დამყარდება ნამდვილი დემოკრატიული მართველობა რუსეთში. თითქმის ყველა გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ვილსონს არ უნდა, რომ ოსმალები კონსტანტინეპოლში დარჩენ გაზეთ „ტანი"-ს გადმოცემით ვილსონის აზრით, ოსმალეთის დატოვება ევროპაში —ეს იქნება დიდი შეცდომა. ვილსონს სურს შექმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც თვალყურს დაიჭერს დარდანელზე. ამ კომისიაში შევლენ რუსეთის წარმომადგენელნიც

გამგზავრება.

ბათომს გაემგზავრა მთავარსარდალი ბათომის ოლქში დაბანაკებულ ჯარებისა გენ. მდივანი.

ყუბანელთა დეპეშა.

მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ლტოლვილი ყუბანელები თავიანთ ოჯახობით, რომელნიც ბედის წერამ გადმოგვტყორცნა და შემოგვაფარა მშვენიერ საქართველოს, მოგილოცავთ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას და გიგზავნით გულწრფელ სურვილებსა და მადლობას ვუძღვნით თქვენს ქვეყანას, რომელმაც სიხარულით მიგვიღო უდიდეს განსაცდელის დროს. გენერალი გალუშკო.

აზერბეიჯანი.

ბაქოს ზოგიერთ წრეებში ხმა გავრცელდა ვითომ აზერბეიჯანის საზღვრებთან დაღესტანიდან მოახლოვებულიყოს წითელ არმიის ნაწილები. ეს ხმები გავრცელებულია აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივ წესწყობილების არევ-დარევისავის. მცხოვრებთა შორის მართლაც პანიკა გამეფდა, უკანასკნელ ხანებში აზერბეიჯანის მტერნი დაჟინებით გაიძახოდენ, რომ წითელი არმია სადგურ იალამასთან არის. ყოველი ამ გვარი ცნობები განზრახ მოფიქრებული არის. არავითარი ჯარი აზერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს არ მოსდგომია.

სომხეთი და აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით ყაზახის მაზრაში გაიგზავნა დელეგაცია კონფერენციის წევრების: გასან ბეგ აგაევის, ს. გრ. მამიკონიანისა და გ. თ. მახარაძისაგან შემდგარი სომეხთა და თათართა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტათ.

ახალი ამბები

ნებადაურთველად სახელმწიფო მიწების დახვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ სახელმწიფო მიწები ნებადაურთველად იხვნება გლეხების მიერ. ამის გამო სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სამაზრო ერობების გამგეობას, რომ საჭიროთ მოახდინონ განკარგულება, რათა მომავალში მიღებული იქნას ზომები ნებადაურთველად მამულების დახვნის და ტყეების გაკაფვის წინააღმდეგ.

—

— **სომხეთა ეროვნულმა საბჭომ** საქართველოში სომხურ სასწავლებლებისათვის დასახმარებლად გადასდო 146.000 მანეთი.

—

— **ბათუმში მარსელიდან ჩამოვიდა** გემი „პაკე", რომელმაც ჩამოიტანა ბევრი ფართლეულობა და სხვა საქონელი.

—

— **ლურსმნის ქარხანა.** ქალაქთა კავშირს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გახსნას თბილისში ლურსმნის ქარხანა.

ლენ. ბარათოვის ჩამოსვლა ტფილისში.

ყირიმიდან ჩამოვიდა ტფილისში შესასვენებლად ლენ. ბარათოვი, რომელიც ამას წინად აქ ყუმბარით დასჭრეს.

ბარათოვი უკანასკნელ დროს სამხრეთ რუსეთის მთავრობის საგარეო მინისტრად იყო და დენიკინთან ერთად მუშაობდა. ამ ჟამად მან თანამდებობას თავი დანება და კავშირი გასწყვიტა მოხალისეთა ჯართან.

შაქრის ფხვნილი.

მოხალისეთა არმიის უკან დახევის დროს „ბროდსკის" ფირმამ მოასწრო ოდესიდან გამოეტანა 60,000 ფუთი შაქრის ფხვნილი. ეს ფხვნილი გაიგზავნა სტამბოლში. ამ ჟამად ფხვნილს სტამბოლიდან ბათომში ჰგზავნიან. ჯერ-ჯერობით მიღებულია 10,000 ფუთი.

დატუსაღება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისიდან დეპეშით აუწყებენ, რომ იქაურ ადმინისტრაციას დაუტუსაღებია ცნობილი ბოლშევიკი თეიგიზ ქლეპტი, რომელიც ქუთაისში საპროპაგანდოთ და ფარულ ორგანიზაციების მოსაწყობად ჩასულა.

ყაჩაღთა შეპყრობა.

დუშეთის მილიციამ შეიპყრო ყაჩაღი აბრამ აბაშვილი, რომელსაც მრავალი მკვლელობა და მატარებელზედ თავდასხმა ბრალდება.

— დუშეთის მაზრის მილიციამ ს. ზეგნაკორისაში შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი ლევან ქავთაროვი.

დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელ კრების სხდომები განახლდება აპრილის 20-დან.

სასწავლებლებში.

დღესასწაულების შემდეგ რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში მეცადინეობა აპრილის 19 დაიწყება.

ექიმის საუბარი

(წერილი მესამე.)

ჩვენ უკვე გვქონდა ბაასი სურდოხველის ან ინფლუენციის შესახებ. გავითვალისწინეთ ამ სნეულების გავრცელების მიზეზები. ეხლა საჭიროა იმის გაგება, თუ როგორ უნდა მოერიდოს ადამიანი ამ ავადმყოფობის გადამდებობის სათავეს.

რადგანაც ინფლუენციის გადამდები სათავე ადამიანის სხეულში ცხვირით ან ყელით შედის, სწორედ ამისათვის საჭიროა ამ ორივე ადგილის სისაღე და წესიერი მუშაობა.

ამისათვის უნდა მოერიდოს ადამიანი გაციებას, როგორც სხვა დროს, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს სენი, ინფლუენცია საერთოდ არის გავრცელებული. ასეთ დროს ავადმყოფის ახლოს ყოფნა, მასთან დარჩენა მავნებელი არის. ავადმყოფის ოთახში უთვალავად არის ჰაერში გარეული ინფლუენციის უჩინარი ჩხირები და ხუნთქვის დროს ჰაერთან ერთად ჩასდის იგი ადამიანს. ზოგი მათგანი ცხვირს მიეკრობა, ზოგი ყელს, ზოგიც ფილტვებში ჩადის. თუ სადმე აქ ამ ადგილებში ნახა მან შემზადებული ნიადაგი, მაშინვე იწყებს განვითარებას და გამრავლებას წარმოუდგენელი სისწრაფით. ერთი ორად იქცევა, ორი ოთხად, ოთხი რვად, და ამ გვარი გაორკეცებით მსწრაფლად აღწევს ათეულ და ასეულ მილიონებს. ეს გავრცელება ხდება საერთოდ ადამიანის სისხლში, რომელსაც იგი შხამავს, ცვლილებას აძლევს. და აი აქ იწყება საშინელი ბრძოლა ორ მოპირდაპირეთა შორის. ამ ბრძოლის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ნაწილზე უფროა მიტანილი იერიში.

თუ ფილტვის ანთება აქვს ადამიანს და ისიც ცოტად გავრცელებული—ადვილი ასატანია, მაგრამ თუ დიდს ადგილზეა მოდებული, ან ორივე ფილტვებში, მაშინ ძნელია შებრძოლება და ავადმყოფობა იმარჯვებს ადამიანზე.

ამდენ დავიდარაბას, იხა სჯობია, რომ თავდაპირველადვე არ შეიხვედროს ადამიანმა ეს ავადმყოფობა და ეს უფრო ადვილია, ვიდრე მერე შებრძოლება.

მაშ უნდა ვერიდოთ სურდოს და ყელის გაციებას. ყველამ იცის, როგორც ჩნდება სურდო, რა იწვევს მას, რა იწვევს ყელის გაციებას. სიცივეში თბილად ჩაცმა, მეტადრე სითბოდგან სიცივეზე გამოსვლის დროს, და სხვა ამ გვარი სიფრთხილე, როგორც ყოველთვის მით უფრო ინფლუენციის დროს მეტად საჭირო რამ არის.

სურდოს სხვა და სხვა წამლებია ცხვირში გასაკეთებელი, მაგრამ ყველაზედ უფრო საადვილოა ქაფური. ქაფურს სპირტი ერთი კოვზის ოდენი უნდა დაასხათ ცხვირსახოცს და ჩაიდოთ ჯიბეში. ერთი საათის შემდეგ უნდა ამოიღოთ, სპირტი აორთქლებული იქნება და მხოლოდ ქაფური იქნება დარჩენილი, დღეში რამდენჯერმე უნდა ღრმათ შეისუნთქოთ ცხვირით ეს ქაფური, მეტადრე ავათმყოფთან ყოფნის შემდეგ.

ყელში გამოსავლებლად ბევრგვარი წამლებია, მაგრამ ყველაზე უფრო ადვილი სახმარია უბრალო მარილი, წყალში გახსნილი ანდა ეგრეღ წოდებული ბერტოლეს მარილი, თითო პატარა კოვზი ერთ ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში გახსნილი. დღეში სამჯერ საჭიროა ყელში გამოვლება, მაგრამ ისე კი, რომ სითხე ღრმად მოხვდეს ყელს. თორემ თუ ენის ძირით დაიფარა ყელი, როგორც ეს ზოგიერთმა იცის, მაშინ თითონ ყელს არაფერი არ მოხდება. თუ ცოტად მაინც გრძნობს ადამიანი ყელის წვას, მაშინ ყოველ ორ საათს, უნდა გამოვლება.

ცხვირისა და ყელს სულ უბრალო მოვლით ხშირად ადვილად შეიძლება აიცდინოს ადამიანმა ეს უსიამოვნო ავადმყოფობა.

ინფლუენციით ავადმყოფი უნდა იყოს სრულებით ცალკე, როგორც ყოველი გადამდები სენიანი ავადმყოფი. სამწუხაროდ ამას არავინ არ უწევს ანგარიშს და კიდევაც ამიტომ ხშირად მთელს ოჯახს მოედება ხოლმე ერთის ავადმყოფობა.

რადგანაც ავადმყოფის ნერწყვი, ცხვირის მონახოცი და ამონასუნთქი ჰაერი გაჟღენთილია ინფლუენციის ჩხირებით, ამისათვის ყველაფერს უნდა მოერიდოს ადამიანი, რასაც კი ამასთან კავშირი აქვს. ავადმყოფის ჭურჭელი, ცხვირსახოცი, პირსახოცი და ყოველივე საგანი, რაც მის ახლოს არის—ყველაფერი ეს უკვე შეიცავს გადამდებ სათავეს. ამიტომაც ყოველივე ეს ცალკე უნდა ჰქონდეს მხოლოდ ავადმყოფს მიჩენილი, და სხვა არ უნდა სარგებლობდეს, სანამ კარგად არ გასუფთავდება გამოხარშვით, მდუღარე წყლითა და გაწმედით.

მავნებელია აგრეთვე როდესაც დედა არის მაგალითად ავად, და ბავშვს ჩაიწვენს ლოგინში. ეს ძალით ავად გახდომას უდრის. აგრეთვე კოცნაც ხელს უწყობს ავადმყოფობის გადაცემას. სჯობს რამდენიმე დღეს თავი შეიკავოს დედამ ასეთ შემთხვევაში, ვიდრე ამ სიყვარულის გამჟღავნებით ავადმყოფობა შეჰყაროს და მას ზიანი მიაყენოს.

საჭიროა ამასთანავე დიდი სისუფთავე, როგორც ყოველთვის, მით უფრო ინფლუენციის გავრცელების დრის.

ღვინის სმა, ქეიფი, ღამის თევა, დაღლილობა და მოქანცულობა, ყველაფერი ეს ძალიან უწყობს ხელს ამ ავადმყოფობის გავრცელებას. ამისათვის საჭიროა მოერიდოს ადამიანი ყველაფერს, რაც კი დაასუსტებს მას და ამნაირად ძალას დააკლებს ავადმყოფობასთან შესაბრძოლებლად. საჭიროა აგრეთვე კარგად სიზრდოასეთ დროს და ძალის მოკრება, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველთვის და მით უფრო ავადმყოფობის გავრცელების დროს.

თუ მაინცადამაინც აიცდინა ადამიანმა ეს უსიამოვნო სენი, ამ გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ მეტი ჯანი არ არის უნდა იფიქროს ადამიანმა მორჩენა, და არ გაირთულოს ავადმყოფობა. ამისათვის უპირველესი საშუალება არის ოთახში დარჩენა და თბილად დაწოლა. წმინდა და თბილი ჰაერი, თანაც დასვენება საუკეთესო წამალია ამ შემთხვევაში და ხშირად მარტო ამასაც შეუძლია ავადმყოფის მორჩენა. და თუ ამანაც არ არგო, მაშინ ექიმის რჩევაა საჭირო და შესაფერი წამლობა, რომელსაც იგი დაუნიშნავს. ავადმყოფობის მდგომარეობის მიხედვით.

მაგრამ თუ იგულისხმებთ, რამდენად ძლიერი არის ეხლანდელი ინფლუენცია და რამდენად ძნელია მისი მორჩენა, ისევ იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ უმჯობესია თავიდგანვე ავიცდინოთ სახიფათო მდგომარეობა და ან სულ არ შევიხვედროთ ეს სენი, ან დასაწყისშივე მოვირჩინოთ იგი, თორემ მერე გაწეულ დავიდარაბას ხშირად არა სასურველი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე. ადამიანი წვალობს, ხარჯში ვარ და სნეულებას მაინც თავის გააქვს. მაშინ როდესაც შეიძლებოდა სულ მცირე ყურადღებით მარცხის აშორება, და წინასწარის სულ უბრალო საშუალებით სხეულის გადარჩენა.

ადამიანს მიტომ ჰქვიან გონიერი არსება, რომ მას მეტი ნიჭი და გამჭრიახობა აქვს მინიჭებული ბუნებისაგან. და თუ ეს საუნჯე ძან ხერ გამოიყენა—სამწუხაროა და საზარალო, როგორც თვითეული ადამიანისა და ოჯახისათვის, აგრეთვე მთელი საზოგადოებისა და ერისათვის.

ლ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

სოფ. ფარცხანაყანებში.

აღდგომის მეორე დღეს ს. ფარცხანაყანებში (ქუთაისის მაზრა) შესდგა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა კრება, რომელსაც დაესწრო ორას ორმოცდაათამდე გლეხი.

კრებაზე თბილისიდან ჩამოსულმა ელ. პ—ძემ მოხსენება გააკეთა: „სასოფლო და საქალაქო მეურნების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ". მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა, თვით გლეხებში გაითვალისწინეს დღევანდელი მდგომარეობა, მესაკუთრე გლეხობისა და ან თუ რა მოელით მათ მომავალში და საჭიროდ დაინახეს მესაკუთრე გლეხთა კავშირის მოწყობა, რომ ადგილი არ ჰქონდეს სოფლის მესაკუთრეთა ისეთ შევიწროებას, როგორც ახლა ხდება ხონის ირგვლივ მდებარე სოფლებში.

მათი დადგენილებით არჩეულ იქმნა ფარცხანაყანების თემის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მესაკუთრე გლეხთა კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ვ. ნ. თევდორაძე (თავმჯდომარე), ი. კიკვაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ბეს. კილაძე (მდივნად), ი. გუშელაძე და მელ. თევდორაძე. კომიტეტმა მეორე დღესვე გამართა სხდომა ახლად გახსნილ ბიუროში და მუშაობის გეგმაც შეიმუშავეს.

სოფლის ცხოვრება გერმანიაში.

გერმანიაში ქალაქებიდან ყოველ მხრივ არის გაყვანილია გზა-ტკეცილები. და სხვა და სხვა ქვაფენილები. გზის პირას გაშენებულია სოფლები, რომელნიც ერთი-მეორეზე 2 ან 3 ვერსით არიან დაშორებულნი. სოფელს რომ მიუახლოვდებით, გზის ორივე მხარეზე ნახავთ გაყოლებულ მშვენიერ შენობებს, რომელნიც რიგზეა აგებულნი ერთი მეორეზე. თითქმის ყოველ სახლს ნომერი აქვს ზედ როგორც ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მოსახლეს, თავისთვის რიგზე მოწყობილი აქვს თავისი კარ-მიდამო სუფთად. სახლის წინა გვერდზე ბაღჩა აქვს გაშენებული, სადაც თავისთვის სთესავენ ყოველ ნაირ ბოსტნეულობას. მწვანილს, ხახვს, კომბოსტოს, პამიდორს, ლობიოს, სიხირს, ხალთათს, კიტრსა და სხვას. აგრეთვე ყოველ მოსახლის—სახლის კედლებზე არის აყვანილი ვაზები და ძირს კედლის წინ კიდევ სხვა და სხვა ნაირი ვარდებით და ყვავილებით არის დამშვენებული, რომელსაც ბავშვები ძალიან ხელს უწყობენ და საამურია იმისი ყურება, როცა იგი ყვავის და კარმიდამოს ამშვენებს.

სახლის ახლო აქვთ ბოსლები: საქონლისათვის და საბძლები, ნამჯის შესანახი (ძროხების და ცხვრების ქვეშ გასაშლელი) და კიდევ შეშის შესანახი (სადაც ინახება ამრიგად მთელ წლის სამყოფი შეშა). მთელი ბოსლები და საბძლები ცემენტით არის გამოლესილი ძირს.

ეზო ისეა მოყვანილი, რომ წვიმის დროს გუბეები არსად არ დაგუბდება და მშრალად რჩება როცა წვიმას გადაიღებს. იქვე ეზოსა და ბოსტნებს ახლო ამოშენებული აქვთ ცემენტით ამოლებული ორმო. ორმოები მილებით შეერთებულია ბოსლებთან და ფეხისადგილებთათანაც, იქ ქუჩლება და სიბინძურე რომელიც კიდევ ემატება აგრეთვე ეზოს ნიაღვარიც. რაც ნარეცხები იღვრება ეზოში სულ ორმოში ჩადის, როდესაც ორმო აივსება, მაშინვე ეზიდებიან მინდორში და რწყავენ მიწას რომელსაც უფრო სინოყიერე აკლია და შემდეგში მოსავალი უკეთესი იცის.

ორმოსთან მიიტანენ ურემს რომელზედაც ზედა ბოჭკა უდევს ორმოში არის გასაქანავებელი მანქანა ჩადგმული და ისე გადმოაქვთ ბოჭკაში.

აგრეთვე გლეხებს მოწყობილი აქვთ სალეწი მანქანები. გარეთ ჩარხი აქვთ მოწყობილი, რომელსაც ცხენებით ატრიალებენ და შიგნით საბძელში კი სალეწი მანქანა ამუშავდება. ძალიან საადვილოა და არც ბევრი მომუშავე სჭირდება.

უწინ ომამდე, როცა უნდოდა ხალხს მაშინ გალეწავდა ძნასა, რადგანაც მაშინ არ იყო პურის ნაკლებულობა. ომის დროს კი თვითონ მთავრობა ანაწილებდა პურს ყველა მაცხოვრებლებზე ყოველი გლეხი ვალდებული იყო, რომ თითო მაშინით გაელეწა რაც ძნა ჰქონდა. მაშინვე უნდა ჩაებარებინა მთავრობის წისქვილისთვის, და დირებული ფასს მიიღებდა. თვითონ გლეხი დაიტოვებდა მხოლოდ, რაც საკმარისი იყო მთელი წლისთვის ოჯახში საჭმელად და აგრეთვე სათესლედ.

მთავრობას მიჰქონდა კიდევ ზედმეტი რაც ჰქონდა გლეხს: ქერი, ფშვრია, კარტოფილი, ჭარხალი და მთელი სურსათ-სანოვაგე—რომელშიც გლეხი დირებულ ფას იღებდა. მთავრობა კიდევ ისე სისწორით ანაწილებდა ყოველ ადამიანზე რომ ზედმეტი ან ნაკლებს ვერა ვინ მიიღებდა.

გერმანიაში ყველა სოფლის მოსახლეს აქვს თავისთვის აშენებული ფურნე (პურის საცხობი). ორ კვირაში ერთხელ აცხობენ პურს. რომელიც მშვენივრად ცხვება, შეშაც ძალიან ცოტა სჭირდება.

გერმანიაში ყოველი მოსახლე შეშას შემრისისთვის წრეულ ზამთარში ამზადებს. ნედლი შეშა მოაქვთ, რომელსაც დაჰხერხავენ და შემდეგ დაჰპობენ, მერე გარედ წყობისად დააწყობენ და მთელ ზაფხულს გარედ სტოვებენ, შემდეგში ის კარგა გახმება და შემოდგომის პირზე შეიტანენ შეშის სფარში და იქ მშრალად არის. ზამთარში ხმარობენ სულ მშრალსა და ხმელს შეშას.

ყველა მოსახლეს აქვს სახლშივე აშენებული ფეჩი, რომელშიც მოსახარშს ხარშავენ, შესაწვავს სწვავენ, სახელდახელო გამოსაცხობსაც აცხობენ. შიგ კიდევ აქვს ორი დატანებული თუჯის ქვაბი: ერთში წყალი დუღდება სუფთად, რომელიც სახელდახელო საჭიროებისათვის ყოველთვის მზად არის. მეორეში კი ცხელდება პურჭლის დასარეცხად, ხელ-პირის დასაბანად და ზამთარში კიდევ ძროხებს გაურევენ ცივთან ერთად და ისე ასმევენ. (ძროხებს ძალიან ცივ წყალს არ დაალევინებენ).

აგრეთვე ზაფხულში ვაშლისა, მსხლისა, ქლიავისა და სხვა და სხვა ხილეულობას ახმობენ ჩირად სადაც იქ ბუზები ვერ შეუვლენ და რჩება სუფთად. ამ ოთახს ხმარობენ აგრეთვე სასადილოდ.

გერმანიაში ყველა მოსახლეს თავის ეზოში ჭა აქვს მშვენივრად და სუფთად მოწყობილი. ერთი სიტყვით ყოველისფრით არის მოწყობილი სახლ-კარი და აგრეთვე მთელი კარმიდამო. რაც კი დასჭირდებათ მზათ არის ყოველისფერი იქვე თვალწინ.

რომელ სოფელშიაც მიხვალთ ყოველგან იპოვნით დუქანს რომელზედაც აწერია („გასტჰაუზ") ქართულად ნიშნავს „სასტუმრო"-ს მართლადაც სასტუმროა—რადგანაც აქვს რამდენიმე ოთახი, რომელშიაც შეიძლება შორეულმა მგზავრმა გაათენოს და თუნდ საჭმელიც მოითხოვოს მიიღებს. იქ აგრეთვე შეიძლება კვირას-კვირობამდე დარჩეს თუ საჭირო საქმეზეა მისული. ეს სასტუმრო არის მშვენივრად მოწყობილი და სუფთად.. ამ სასტუმროს აგრეთვე ხმარობენ სათეატროდ და საცეკვაოთაც. გვერდზე აქვს მშვენიერი დიდი დარბაზი და აგრეთვე სცენაც. როცა ცეკვას გამართავენ შუა დარბაზი ცარიელია და მთელი სკამები სულ ნაპირზეა შემოწყობილი გარშემო. სცენაზე მუსიკა უკრავს და დარბაზში კიდევ ცეკვავს ხალხი.

ომის დროს აღარ იყო არსად ცეკვა მხოლოდ ეხლა ბოლოს დროს რაკი შერიგების სული მოვიდა გერმანიაში, მაშინ დაიწყეს კვირაობით ცეკვის გამართვა და აგრეთვე წარმოდგენების დადგმა სოფლებში.

როდესაც რამე ყრილობა აქვთ სოფელში ან მოსალაპარაკები, ან კიდევ მთავრობიდან გამოგზავნილი კაცი მოვა რამის გადასაცემად სოფელში ყველა მოქუჩდება სასტუმროში და წყნარად ბაასობენ და მსჯელობენ. ვერც კი შეატყობს ხმი კაცი, თუ იქ რისამე მსჯელობა აქვს. რადგანაც ყვირილი და ხმაურობა არ იციან, მეტი სიდინჯე აქვთ ყველთვის, და ერთი-მეორეს არ შეებმევიან ლაპარაკში. თითქმის ყველას უდგია ჭიქით ლუდი და პირში კიდევ ციგარა აქვს და წყნარად ისმენს და ყურს უგდებს ისე, საქმის დღეს იქ არ შევა გერმანელი და სმას და ტყუილ ბაას არ მორთავს. უეჭველად კვირა ან უქმე უნდა იყოს, რომ გერმანელი მშრომელი სოფლის დუქანში იჯდეს და დროს ტყუილად კარგავდეს.

სამუშაო დღეს ყველა სასტუმრო მიჩუმებული არის, და თითქმის, ყველა ამ სასტუმროს პატრონები სამუშაოზე არიან წასულები. სასტუმროში კი მხოლოდ ან ბებერი იქნება დატოვებული და ან კიდევ პატარა ბავშვები. ომის დროს უფრო არავინ ეტანებოდენ ამ სასტუმროს. ყოველ დღე თითქმის ჩვენ ტყვეები შევდიოდით შიგ და თუ რამე ფენიგებს ვიღებდით ისაც იქ მიგვქონდა და ვსტოვებდით ან პაპიროსში ან კიდევ რამე სასმელში. მედუქნეს ჩვენი იქ ყოფნა უხაროდა და წასვლა კიდევ სწყინდა, რადგანაც ჩვენის მეტი მუშტარი და გამართობი არა ვინ იყო იმისთვის, და ყველას შეგვიმოდა ვალერსებოდა.

იდ. სონღულაშვილი

დარიგება

სოფელში მცხოვრებთათვის.

1.

მღვრიე წყლის გაწმენდა.

ქილაში, კასრში ან ვედროში, რა ჭურჭელიც მოიპოვება ოჯახში, ჩაასხი წყალი და შიგ ჩაუშვი ხუთი ან ექვსი, თუ დიდი ჭურჭელია—ათი წვეთი რკინის სითხე (ЖИДКОСТЬ ЖЕЛѢЗА), რომელიც ყოველს აფთიაქში იყიდება და ძვირიც არ არის. როცა ამ სითხეს ჩააწვეთებ, ჯოხით მოურიე. ნახევარი წუთის შემდეგ წყალი გასუფთავდება.

წყლის გასაწმენდად კარგია კიდევ პარმუშხას ძირი (ხრენი). გაფცქვნილი უნდა ჩაიგდო წყალში. კარგია კიდევ დანაყილი შაბი, ერთი ჩაის კოვზი ერთ ვედრო წყალზე; უნდა ჯოხით აურიო.

—

2.

მარილის შენახვა.

დანაყილი მარილი რომ არ დანესტიანდეს და არ გაფუჭდეს, არც დაკოშტდეს, ერთი მეათედი ნაწილი დაფქვილი სახამებელი გაურიეთ და მარილი კარგად შეინახება.

—

ოთახის დახუთულ ჰაერის გაწმენდა.

შუშის დიდ რამე ჭურჭელში წყალი ჩაასხი და ჩაუმატე მეხუთედი ნაწილი სუფთა ზელეკონი (სკიპიდარი) და კარგად უნდა აირიოს და ორი კვირით მზეზე გარედ გაიდგას. ზელეკონი სულ ზემოდან მოექცევა და იმის ქვეშ კი სითხეს რძის ფერი მიეცემა. ეს სითხე მშვენიერი სახმარია ოთახის ჰაერის გასაწმენდად. ოთახში უნდა დასდგა შუშა და თავი მოხადო, რომ სუნი ამოუვიდეს. ამ სითხეს ფიჭვის სუნი უდის, რომელიც ადამიანის სუნთქვისათვის ძრიელ სასარგებლოა.

—

4.

მაგარი ხორცის დარბილება.

ხორცით ქვაბი ადუღდება თუ არა, ქაფი მოხადეთ და და ერთი კოვზი მურის არაყი ჩაასხით. ხორცი მალე მოიხარშება, დარბილდება კიდეც და არაყის გემოც ხორცულებით არ ექნება.

—

5.

კვერცხის შენახვა.

კვერცხი ძალიან მალე ფუჭდება. რომ არ წახდეს კვერცხი, დააყარეთ ზედ ან გაცრილი ნაცარი კარგა ბლომად ან მარილი და შეინახეთ ისე ცივ ადგილას. ამნაირად შენახული კვერცხი რამდენიმე თვე არ წახდება.

—

6.

ხრაკის გემოს მოშორება.

თუ საჭმელი მეტად გადამწვარია და სუნიცა და გემოც ცუდი აქვს, საკმარისი ჭურჭელი უცბად ცივს წყალში ჩასდგათ. გემოც და სუნიც კარგი მიეცემა.

—

7.

დამჟავებული რძე.

თუ რძე ან ნაღები ძალიან არ არის დამჟავებული, ერთი ბეწო ნახშირმჟავე მაგნეზია რომ აერიოს, მაშინვე დატკბება. მაგნეზია, ე. ი. მსუქანი თეთრი მიწა აფთიაქში იშოვება და ერთი ჩაის კოვზი (ორი კრთილის წონა) ჰყოფნის ერთ ბოთლ რძეს. თუ ძლიერ არის დამჟავებული რძე—მაგნეზიას ცოტა მოუმატეთ. ამ საშუალებით რძე არ ფუჭდება და გემოც თავისი რჩება.

—

8.

შავი ტანისამოსის გაწმენდა.

ლეღვის ფოთლები ადუღეთ ორ ბოთლ წყალში და როცა ნახევარზე დადგა, გადმოიღეთ და ამ ნადუღით გასწმინდეთ შავი ტანისამოსი ან დრუბლით, ან ტილოთი ან შალის ნაჭრით.

—

9.

სარეცხის გათეთრება.

დიდი ხნის ხმარებით სარეცხები ხშირად ძრიელა ყვითლდება. გასათეთრებლად საკმარისია გარეცხვის შემდეგ ერთი მეოთხედი ჭიქა წმინდა ზელეკონი (აფთიაქში იშოვება) აურიეთ სპირტში. სპირტი უნდა იქნეს სამი მეოთხედი. ამ ნარევის თითო კოვზი ჩაასხით ცივს წყალში, შიგ ამოავლეთ სარეცხი და კარგად გასწურეთ გასაშრობად. სარეცხს მიეცემა სუფთა თეთრი ფერი.

—

10.

ლამპრის ჭვარტლი.

ლამპარს ხშირად ჭვარტლი ასდის ხოლმე და ცუდი სუნიც ასდის. ხანამ ნავთს ჩაასხამდეთ ლამპარში, პატრუქი მაგარს ძმარში ამოავლეთ და მერე მზეზედ კარგად გამშრალი გაუკეთეთ ლამპარს. ამის შემდეგ მური, ჭვარტლი და კომლი ყოვლად შეუძლებელია.

—

11.

ყავის მოხარშვა

თუ გინდა, რომ ყავას კარგი სუნი და გემოც ჰქონდეს, მიუმატე ორი მწარე და ორი ტკბილი ნუში. შეიძლება კიდევ ყავაში ჩაუშვათ პატარა ნაჭერი ზაიკი. (ვანილი)

—

ცივი კერა.

როცა [illegible] ხარ გასული სამუშაოდ, ხვნათესვაში, თუ მკა-ცელვაში, ან კალოზედ ჭირნახულის სალეწავად, ხშირად ცხელს საჭმელსა ხარ მონატრული, რადგანაც იქ ცეცხლს ვერ გააჩენ, რომ არც შეშა გაქვს ხელად, არც ფიჩხი და სხვა რამე ცეცხლისათვის, შინიდან კი მოგდის სადილი ყოველთვის ცივი. ამ გარემოებას აი ამ ნაირად უნდა უშველო.

აიღე რამე ყუთი ან ზანდუკი, სკივრი იმოდენა, რომ შიგ ჩაიდგას ქვაბი ან ქოთანი, კოჭობი, რომელშიაც შენი შეჭამადი იხარშება. შიგნიდან ამ ყუთს გააკარი სქელი ნაბადი, რომ ძირად, სულ გარშემო: ძირი, გვერდები და სახურავიც. დამზადებული რამ შეჭამადი გადმოიღე ცეცხლიდან და ამ ყუთში ჩასდგი და ყუთს დაახურე თავი. შეჭამადი თავის-თავად, უცეცხლოდ იდუღებს შიგ და როცა დანაყრებას მოინდომებ—გექნება ცხელი საჭმელი. ამასა ჰქვიან ცივი კერა, უცეცხლო კერა.

—

გაცხარებულ მუშაობის დროს ზაფხულში რო დაგცხება, ხშირად იტყვი: ახ, ნეტა ეხლა ცივი წყალი მომცა! ამასაც ამ ნაირად ეშველება.

ამოთხარე მიწა იმოდენა, რომ ამოთხრილში ჩასდგას წყლის ჭურჭელი, კასრი იქნება თუ ბოთლი, ან ქოთანი, სულ ერთია, ჩადგი შიგ, ზევიდან ამოღებული მიწა დააყარე, ზედ დააყარე ფიჩხი, წალამი, ნაფოტი, რაც კი მოგეხერხებოდეს და ხელთ გექნება და წაუკიდე ცეცხლი, ერთი საათის შემდეგ ამოიღე ჭურჭელი და წყალი გექნება ყინულივით ცივი და მაშინ მიირთვი, რამდენიც შენ გულს უნდოდეს და მახსენე მე, კოტე ყიფიანი.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

სტამბა ამხ. „ხელოვნება" ველიამინოვის ქუჩა 20.